[illegible] [illegible]

წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნა

საქ. კ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტის და აღმასკომის ყოველ-კვირეული ორგანო.

რედაქცია: დრ. მოთავსებულია— ქ. ახალ-სენაკი ლენინის ქუჩა № 45 (განათლების განყოფილების შენობაში)

ყოველგვარი მასალები, კორესპონდენციები და განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს ამხ. ვ. ნადარეიშვილის სახელზე შემდეგი მისამართით: ქ. ახალ-სენაკი ლენინის ქუჩა № 45 (განათლების განყოფ.)

პირადათ მოლაპარიკება რედაქციის პას. მგ. მდივან ამხ. ვ. ნადარეიშვილთან შესაძლებელია ყოველდღე (გარდა უქმე დღეებისა) დილის 11-დან ნაშ. 2 საათამდ

ტელეფონი—განათლების გ

№ 5 კვირა 27 მაისი, 1923 წ. ყოველ-კვირეული გაზეთი ფასი 25,000 მან. №

ხანაგებო მუშებო და გლეხებო! შეიძინეთ მშრომელთა ინტერესების დამცველი გაზეთი—,,კომუნა“

რედაქცია.

კონტრ-რევოლიუციონერთა ბანაკი განადგურებულია.

არ დასცხრნენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების მტრები; არ სჯეროდათ მათ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მკვიდრი ნიადაგი აქვს მთელ საბჭოთა ფედერაციაში და მაშასადამე საქართველოშიც.

ურწმუნოებმა, ამიერიდან მშრომელთა მტრებმა, ანტანტის აგენტებმა—ოპორტუნიზმის ნაძირალ მენშევიკებმა და ყოველი ჯურის კონტრ-რევოლიუციონერებმა თავიანთი შავი ზრახვების განსახორციელებლად მიმართეს მთელ რიგ სამხედრო აჯანყებათა და ბანდიტურ გამოსვლათა მომწყობ შტაბის დაარსებას. მაგრამ ამაოდ: მტრის ბანაკში გავარდა მეხი, რომელმაც გაანადგურა იქაურობა: ამიერკავკასიის და საქართველოს საგანგებო კომისიათა მიერ აღმოჩენილ იქნა ყველაფერი და აჯანყებათა მომწყობნი დასჯილ იქმნენ უმაღლესი სასჯელით—სიკვდილით.

გაზ. „კომუნისტი“ (№ 115-23 მაისი და სხვა გაზეთებიც) იძლევა ამაზე ვრცელ მასალას, რომლითაც მკითხველი ფართედ გაეცნობა, თუ როგორ შეთანხმდნენ საქართველოს ყველა პარტიები მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად, თუ როგორ დაარსეს სამხედრო შტაბი, ვისზე ამყარებდნენ იმედებს და სხვა.

1921 წ. დაარსებულ ინტერპარტიულ (პარიტეტულ) კომიტეტში შედიოდნენ: საქ. სოც. დემოკრ. (მენშევიკ.) პარტია, ეროვნულ-დემოკრ. პარტია, სოც. ფედერალისტები, დამოუკიდებული სოც დემოკრატები და ესერები. ამ კომიტეტს სრული დამოკიდებულება ქონდა საზღვარგარეთთან (ჟორდანია—რამიშვილ—წერეთელთან). ამას გარდა დარსდა სამხედრო აჯანყებათა მომწყობი შტაბი, რომელშიაც შედიოდნენ ყოფ. გენერლები და პოლკოვნიკები (სოც. დემოკრ. და ეროვნ. დემოკრ. პარტიის წევრები).

მთელ თავის იმედებს ინტერპარტიული კომიტეტი და მათი სამხედრო შტაბი ამყარებდა ანტანტაზე. სამხედრო შტაბი ეძებდა შემთხვევას მოქმედება დაეწყობა მაშინ, როდესაც იმპერიალისტური ანტანტა წამოვიდოდა საბჭოთა ქვეყნებზე შეტევის საწარმოებლად.

დიაღ, ასეთი იყო ზრახვა კონტრ-რევოლიუციონერთა, ასეთი იყო ზრახვა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მტერთა, რომელნიც ეძებდნენ შემთხვევას გაენადგურებინათ რევოლიუციის ყოველგვარი მონაპოვარი და კვლავ ანტანტის სათარეშოდ და რეაქციონერთა შავბნელ ექციათ საქართველო.

მაგრამ—ამაოდ. . რევოლიუციას ყავს თავისი დარაჯი.

საგანგებო კომისიამ ეს აღმოაჩინა და რევოლიუციის აშკარა მტრებს, აჯანყების მომწყობთ, მიუსაჯა ისეთი სასჯელი, რის ღირსიც ისინი იყვნენ.

ვერ გამართლდა შავი ზრახვები. ჩაიფუშა ჩოლოყაშვილის ბანდა. ჩაქრა ნ. ჟორდანიას გუნდრუკი, რომელსაც იგი უკმევდა პუნკარეს...

ეს გარემოება ერთხელ კიდევ გვასწავლის—თუ როგორ უნდა იყოს დაჭიმული მშრომელთა ინტერესების დამცველის ყურადღება და საითკენ უნდა იყოს მიქცეული ეს ყურადღება.

ორიოდე სიტყვა ფიზიკურ კულტურაზე.

სხეულის სიჯანსაღე დაუფასებელი მნიშვნელობისაა ადამიანისთვის. ფიზიკურად ძლიერი ადამიანი ძლიერია სულიერადაც. ფიზიკურად გაჯანსაღება შესაძლებელია სხეულის მუდმივი ვარჯიშობით.

ბურჟუაზიამ ყოველივე ეს კარგად იცოდა, და ამიტომაც იყო, რომ მან დაარსა რამოდენიმე ტანისავარჯიშო საზოგადოებები, ხადაც ბურჟუაზიის შვილები და საერთოდ ე. წ. „მაღალ საზოგადოების“ წევრთა შვილები იწვრთნებოდენ.

ამიერიდან დამონავებულ და გადაგვარების გზაზე დამდგარ მუშათა კლასის შვილების გაჯანსაღებაზე მაშინ, რასაკვირველია, არავინ ლაპარაკობდა ეს ასეც უნდა ყოფილიყო ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

როგორ უყურებს საბჭოთა ხელისუფლება ფიზიკურ კულტურის საქმეს?

მთელ საბჭოთა ფედერაციაში (ყველა რესპუბლიკებში) მთავრობის ყურადღება აქეთკენაა მოქცეული. დაარსდა ე. წ. ,,ფიზიკურ კულტურის უმაღლესი საბჭო''; დაარსებულია ფიზიკურ კულტურის ინსტიტუტი. ამ ბოლო დროს თბილისშიც დაარსდა ამიერ-კავკასიის ფიზ. კულტ. საბჭო. არის შანსები იმის, რომ შესაძლებელია გაიხსნას ფიზიკური კულტურის ფაკულტეტიც. ყოველივე ეს დიდს ნიშნავს. ამას გარდა გაუქმებულ იქნა საქართველოში ყოფ. ტანთ-სავარჯიშო საზოგადოება ,,შევარდენი'' და მის მაგივრად დაარსდა ,,სპარტაკი''-ს საზოგადოება.

ყველამ იცის [illegible] იყო „შევარდენის“-ს მიზანი, ხოლო „სპარტაკს“ კი სულ სხვა დანიშნულება აქვს. „სპარტაკში“ შედის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა. „სპარტაკს“, როგორც საერთოდ სხვა ტანთ—სავარჯისო საზოგადოებებს საბჭოთა რესპუბლიკებში, სამი მთავარი დანიშნულება აქვ'. პირველ ყოვლისა „სპარტაკმა“ უნდა გამოაჯანსაღოს გადაგვარების გზაზე დამდგარი მუშურ—გლეხური ახალგაზრდობა; დიაღ, მუშათა კლასი და გლეხობა უკვე დამდგარია გადაგვარების გზას (გავიხსენოთ ფაბრიკა ქარხ. 16, 17, 18 საათის მუშაობა, ბატონყმობის მკაცრი ინსტიტუტის ნაშთები მსოფლიო ომი და სხვა). ამ შემთხვევაში „ტანთ—სავარჯიშო საზოგადოებამ თავისი როლი უნდა შეასრულოს. მეორე დანიშნულება „სპარტაკის“ ორგანიზაციისა არა ნაკლები ყურადღებისაა: ,,სპარტაკმა'' უნდა შთანერგოს ახალგაზრდობაში სოციალური ინსტიქტი, კოლექტივიზმის იდეა, იდეა მუშათა კლასის სოლიდარობის და კოსმოპოლიტიზმის, ნაცვალდ ნაციონალისტურ შუღლის და შოვინიზმისა. უამისოდ ტანთ სავარჯიშო საზოგადოების არსებობა საბჭოთა რესპუბლიკებში წარმოუდგენელია. მესამე დანიშნულებას დროებითი ხასიათი აქვს. ესაა სამხედრო დარაზმვა მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობისა (ეს საჭიროა მანამდე, სანამ იმპერიალისტურ ანტანტას მსოფლიო რევოლიუცია არ მოუგრეხს კისერს).

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირის ყურადღება ტანთ—სავარჯიშო საზოგადოებისკენ უნდა იყოს მიქცეული. პირველი მათგანი მოზარდთაობის ფიზიკურად გაჯანსაღებით შეასრულებს თავის ფუნქციის, ერთ-ერთ დარგს. ხოლო უკანასკნელი კი ,,სპარტაკის'' საშვალებით განამტკიცებს თავის იდეოლოგიას და წითელ ახალგაზრდობის დროშის ქვეშ შემოკრებს ყველას, ვინც დღემდე იყო ამცდარი თავის ნამდვილ გზას.

ვ. ნ—ლი.

რადიო—დეპეშები.

რუსეთი და ინგლისი.

განხეთქილების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 23 მაისი. ინგლისის კოოპერატორების ედინბურგის კონგრესმა გაუგზავნა ცენტროკავშირის თავმჯდომარეს ამხ. ხინჩუკს მისი მიმართვის საპასუხოდ დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: ედინბურგის კოოპერატიულმა კონგრესმა სერა ტომასის და ალენ ბეის სიტყვების შემდეგ ერთხმად მიღო შემდეგი რეზოლიუცია:

,,ითვალსწინებს რა რუსეთის და ინგლისს შორის ეკონომიური ურთიერთობის შეწყვეტას და აგრეთვე რუსეთ ინგლისის—ურთიერთობის კრიტიკული მდგომარეობის გამო მშვიდობიანობის დარღვევის საფრთხეს, კონგრესი მოუწოდებს ბრიტანეთის მთავრობას ყოველივე ძალღონე იხმაროს იმისათვის, რათა მოლაპარაკების გზით გააუმჯობესოს ურთიერთობა რუსეთთან და ამრიგად დაიცვას მშვიდობიანობა ევროპაში. რეზოლიუცია გადაეცა დეპეშით კერზონს.

ჩვენი ნოტის განხილვა.

ლონდონი. 24 მაისი ლონდონის პოლიტიკურ წრეების აზრით, ინგლსის კაბინეტი მალე შეუდგება საბჭოთა რუსეთის საპასუხო ნოტის განხილვას.

უნიონისტებმა ხელი აიღე ამ განზრახვაზე, რადგანაც მუშათა პარტიამ განაცხადა: თუ კერზონს გაიყვანთ პრემიერად, მაშინ გადაჭრილ ზომებს მივმართავთ და პალატის დთხოვნის საკითხსაც კი წამოვაყენებთ.

კერზონი მზათაა.

ბერლინი. 24 მაისი. ლონდონიდან იუწყებიან, კერზონი მზათაა ისევ გარეშე საქმეთა მინისტრათ დარჩეს.

ლოზანას კონფერენცია.

მდგომარეობა არევ-დარეულია.

პარიზი. 22 მაისი. საფრანგეთის პრესის აზრით მდგომარეობა ლოზანას კონფერენციაზე ძლიერ არევ-დარეულია

,,ერ ნუველი'' უკმაყოფილოა.

პარიზი. 22 მაისი. ,,ერ ნუველი'' ილაშქრებს ოსმალეთის და საფრანგეთის დიპლომატიის წინააღმდეგ, რომელიც, გაზეთის აზრით, წარმოადგენს სათამაშოს ინგლისის და რუსეთის ხელში, რომელთაც უერთდება აგრეთვე იაპონია და ამერიკა.

2 და 2½ ინტერნაციონალის კონგრესი.

„პრავდას“ წერილი.

მოსკოვი. 23 მაისი „პრავდა“ მოწინავე წერილში, რომელიც ეხება 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების ლიდერების გამბურგის კონგრესს, სწერს: „დარბაზი მორთული იყო ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ეროვნული დროშებით. რუსეთის „ეროვნული დროშის“ სახით მოსჩანდა თვითმყრობელობის სამფეროვანი დროშა. კონგრესის „შინაარსი“ სავსებით შეეფერებოდა ამ „გარეგნობას“:

ველსის შესავალი სიტყვა წარმოადგენდა ცოფმორეულ ცილისწამებას კომუნისტებზე.

მენშევიკმა აბრამოვიჩმა, იმ დროს, როდესაც კერზონი თავის რევოლვერს უმიზნებს საბჭოთა რესპუბლიკის შუბლს, საჭიროდ სცნო გამოსულიყო გააფითრებით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

პოზიცია, რომელიც უკვე დაიკავა „გაერთიანებულმა“ კონგრესმა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს აშკარად დაშლის, ვინაიდან, ეხლა, როდესაც ყოველივე პირობები იმას გვიკარნახებს, რომ გავაერთიანოთ მუშათა კლასის ძალები ფაშიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში საბჭოთა რუსეთისათვის, მენშევიზმის ლიდერები აშკარად დგებიან სამფეროვანი დროშას ქვეშ. მაგრამ მათი დღეები დათვლილია. მათი დამარცხების საშუალებით მოხდება პროლეტარიატის ნამდვილი გაერთიანება.

მშრომელთა სადარაჯოზე.

მშრომელები მზად არიან წინააღმდეგობისთვის.

მოსკოვი. 21 მაისი. კომინტერნის აღმასკომმა მიმართა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომს რ. კ. პ. ცეკას და სრულიად რუს. პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დეკლარაციით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ამხ. ვოროვსკის მოკვლა და ან ბრიტანეთის აგრესიული იმპერიალიზმის დამქაშის კერზონის თავხედური, პროვოკაციური ნოტა არ არის შემთხვევითი მოვლენა. მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის ინსპირატორებს, ალბად, თავი საკმაოდ ძლიერად მოაქვთ, რათა დაიწყონ სისხლის მღვრელი შეტევა მუშათა კლასზე. მომავალი დაგვანახებს იმას, თუ როგორ ცდებიან ისინი, ყოველივე ცდას იმპერიალისტური ომის გამოწვევისათვის სასტიკ წინააღმდეგობას ვაუწევენ ყველა ქვეყნის მშრომელები, რაც ხელს შეუწყობს ერთიანი მუშათა ფრონტის შექმნას რომელშიაც კომინტერნი ხედავს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ბერკეტს.

აჯანყების მომწყობთა დახვრეტა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. საგანგებო კომისიის (ჩეკა) მიერ დახვრეტილ იქნენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომწყობნი შემდეგი პირნი:

1) **ანდრონიკაშვილი** ალექსანდრე სიმონის ძე
2) **წულუკიძე** ვარდენ გრიგოლის ძე.
3) **ხიმშიაშვილი** გიორგი ნიკოლოზის ძე.
4) **მუსხელიშვილი** როსტომ ილიას ძე.
5) **აბხაზი** კონსტანტინე ნიკოლოზის ძე.
6) **ზანდუკელი** მიხელი ნიკოლოზის ძე.
7) **ბაგრატიონ-მუხრანსკი** სიმონ ლევანის ძე.
8) **ყარალაშვილი** ფარნაოზ რევაზის ძე.
9) **ქერესელიძე** იასონ მათეს ძე.
10) **ქუთათელაძე** ივანე გრიგოლის ძე.
11) **ჭიაბრიშვილი** სიმონ (იგივე ნასყიდ) ეგორის ძე.
12) **მაჭავარიანი** ალექსადრე მიხეილის ძე.
13) **გულისაშვილი** ელიზბარ ზაქარიას ძე.
14) **კლიმიაშვილი** ლევან ირაკლის ძე.
15) **ჩრდილელი** დიმიტრი ნიკოლოზის ძე.

გნაჩენი უკვე მოყვანილია სისრულეში.

მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომწყობი ღირსია უმაღლესი სასჯელის—სიკვდილის.

სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში.

* * *

ა./წ. 12 აპრილს სამაღ-ს პრეზიდიუმმა აღძრა შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის წინაშე. რათა მან გააშენოს მდ. ტეხურზე სამაზრო აღ-ს ხარჯზე რკინის გზის ხიდი, ეტლის გასასვლელი, მსგავსად ევლახის და სუფსის ხიდეებისა, მცხოვრებთა მიმოსვლისათვის.

* * *

ა./წ. 18 აპრილს საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ს. კ. პ. ცეკას წაედგინა ვრცელი მოხსენება მაზრის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გლეხკაცობა საშინელ კრიზისს განიცდის, მან დაკარგა არამც ქალაქის ნაწარმოების ყიდვის უნარი, არამედ უბრალო გადასახადის გადახდის უნარიც და ყოველივე ამის მიზეზია სიმინდის ბაზრის უქონლობა. სამაზრო აღმასკომი დასასრულ სთხოვს ზემოდასახელებულ ორგანოებს ნება დართონ მას ოსმალეთში სიმინდის გადატანისა, რაც აუცილებლათ შეანელებს ამ ჟამათ მაზრაში არსებულ კრიზისის მიმწვავეს და საშვალებას მისცემს სამაზრო აღმასკომს დააჩქაროს დაწყებული დიდი საქმე მაზრის ელექტროფიკაციისა.

* * *

აღძრულია შუამდგ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის წინაშე ა/წ. 9 მაისს ნოქალაქევის აბანოსი სენაკის სამაღმასკომის განკარგულებაში გადაცემის შესახებ მცხოვრებთათვის აბანოსი უკეთ მოწყობის მიზნით..

* * *

აღძრულ იქნა შუამდგომლობა სრულიათ საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასკომის წინაშე, რათა მან დახმარება გაუწიოს სახელმწიფო ფონდიდან ხორშის თემში არსებულ ამხ. ცხაკაიას სახელობის სამეურნეო სასწავლებელს, რომელიც საჭიროებს ხარჯთ-აღრიცხვით $25^0/_0$-ს დაფარვას, დაახლოვებითი 1,500,000 მან. $75^0/_0$ დაფარულია თემის მიერ გაღებული თანხით.

* * *

მდ. ცხენის წყლის მიერ ვეზათის დამბის დარღვევის გამო, მდინარის ძველ კალაპოტში გადაგდების შესახებ, სამაზრო აღმასკომმა ა/წ. 22 მაისს ხელ-ახლა აღძრა შუამდგომლობა ა./კ. წყალთა მეურნეობის მმართველობის წინაშე, რათა უკანასკნელმა თავისი მხრივ პირველ რიგში გაიღოს დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის $25^0/_0$ მუშაობის გასაგრძელებლათ და იმ საშიშროების თავიდან ასაცდენათ, რომელსაც მდინარე უქადის როგორც მცხოვრებთა კარ-მიდამოებს, ათრეთვე რკინის გზის ლიანდაგს. მუშაობა სწარმოებს ინჟ. ევსტროტოვის მეთაურობით, საჭირო მასალების დამზადებას მიეცა დამკვრელი ხასიათი.

* * *

აღძრულია შუამდგომლობა საქართველოს შიმშილობასა და სხვა სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან მებრძოლ მთავარ და ამერიკის დამხმარე კომიტეტების წინაშე, რათა პირველმა მოგვცეს ერთი მილიარდი მანეთი წყალდიდობის გამო დაზარალებულ მცხოვრებთათვის პერსონალური დახმარების გასაწევათ, და მეორემ-40 ტიუკი ძველი ტანისამოსი წყალდიდობის გამო დაზარალებულ მცხოვრებთათვის უფასოთ და ულარიბეს მცხოვრებთათვის მისაყიდათ იაფ ფასებში.

* * *

იუსტიციის სახალხო კომისარიატმა, სამაზრო აღმასკომის წარდგენით, სახალხო მოსამართლების და გამომძიებლების თანამდებობაზე, დაამტკიცა: ამხ ამხ. მიხეილი (იგაველოდია) ბახვას-ძე ნოდია—(სენაკის უბანი), ალექსანდრე მელიტონის-ძე ურიდია (ბანძის უბანი), აქვსენტი ბორდღუს-ძე წულაია (მარტვილის უბანი), კიშელავა რიმანოზ დათას-ძე (სალხინოს უბანი), გულორდავა კალისტრატე (ბანძის უბნის სახ. გამომძიებლათ), გაბისონია დავითი (მარტვილის უბნის სახ გამომძიებლათ). მოსამართლენი და გამომძიებელნი დანარჩენ ადგილებში დროებით რჩებიან.

ცუდ შემთხვევები მაზრაში. აპრილის თვეში ადგილი ქონდა შემდეგს: თავის დახრჩობა—1. სახლის დაწვა—3, მკვლელობა—2.

მაჩის შემთხვევები ქ. სენაკში. დაბადება: მამრ.—5; მდედრ.—4. გარდაცვალება—2, ქორწინება—3.

პარტიული ცხოვრება.

ა. წ. 6 მაისს სამაზრო პარტკომის დარბაზში პლენუმის გაფართოებულ სხდომაზე მოხსენება გააკეთა **რ. კ. პ. მე-12-ე ყრილობიდან** დაბრუნებულ დელეგატმა ამხ. **მ. ბედიაამ** პარტყილობის მუშაობის შესახებ.

ღვთისა და ეკლესიის წინააღმდეგ

(თეზისები)

1. ოქტომბრის გადატრიალებამდე მთელი მსოფლიო წარმოადგენდა მეტად საზარელ და შემაძრწუნებელ სურათს: ადამიანთა სულ მცირედი ნაწილი, რომელიც არაფერს აკეთებს, ბატონობს მთელს კაცობრიობაზე და სხვისი ნაშრომის მუქთად მითვისებით მეფურად ცხოვრობს ყოველი მხრით უზრუნველყოფილი. სოფლის გლეხი წელში წყდება დღე და ღამ მუშაობით, მაგრამ შიმშილ-სიცივისაგან თავი მაინც ვერ დაუხწევია, ხოლო მემამულე კი ფუფუნებაში ცხოვრობს და მისი ბეღელი მუდამ სავსეა გლეხის ნამუშევრით. მთელი მსოფლიო, ვარდა საბჭოთა ფედერაციისა (რუსეთი, უკრაინა, კავკასია, სიბირი და კასპიის-იქითა მხარე) დღესაც ამ გვარ სანახაობას წარმოადგენს. ფაფრიკა-ქარხნებში მილიონობით მუშაობენ მუშები; ისინი ქმნიან აუარებელ ღირებულებას, ქვეყნის სიმდიდრეს, მაგრამ ეს ესაა შიმშილს ძლივს აღწევენ თავს; ხოლო ბურჟუა კაპიტალისტები კი, რომლებმიც არაფერს აკეთებენ, არხეინად შეექცევიან მუშების ნაწარმოებს. სოფლის, გლეხი თავჩაღუნული განაგრძნობს მუშაობას. რაშია საქმე, რატომ ხმას არ იღებენ ამდენი მილიონი გლეხები?

პასუხი მოკლეა: ჯერ ერთი მდიდართა ხელში მყოფი მთავრობის ჯანდარმერია გასაქანს არ აძლევდა მუშებს და გლეხებს,-მეორედ, გლეხებს მუდამ ყურში ჩასჩურჩულებს სასულიერო წოდება: „ნუ აღელდებით შვილებო! ნუ წამოგცდებათ საყვედური ვინმეს წინააღმდეგ! აბა გაიხსენეთ ქრისტეს სიტყვები: „იყავით მოთმენიანი და ილოცეთ თქვენს მტრებზე.. იყავით მშვდნი ვითარც მტრედნი და წყნარნი—ვითარცა ცხვარნი!'' ამის შემდეგ გლეხი კვლავ ჩაღუნავდა თავს და იტყოდა: დეე ვიწვალო ამ ქვეყნად, სამაგიეროდ იქ, იმ ქვეყნად მოვიპოვებ სასუფეველსა ცათა"-ო.

2. უსწავლელ და მუდამ მღვდლების ჩიჩინით გონება გამოყეყეჩებულ ხალხს არ გაეგებოდა რაში იყო საქმე. საუკუნოებით მღვდლის ჩიჩინმა მონობა-მორჩილებაზე და ღვთის შიშზე მთლად მოუწამლა ადამიანს გონება, და იგი შეიქნა ყურმოჭრილი მონა, პირუტყვი და ბრმა-იარაღი მემამულის ხელში. არ იცოდა გლეხთა, რომ ეს ქვეყანა თვით მდიდრების მიერ იყო ასე უკუღმართოდ მოწყობილი; არ იცოდა გლეხმა, რომ ეს მღვდელი თვით მდიდართა კლასის და მთავრობის მიერ იყო დაყენებული და მხოლოდ იმისთვის, რომ ამით მოეწამლათ და დაეჩლუნგებიათ მუშების გონება ისე, რომ მუშებს არ შესძლოდათ კრინტის დაძვრა მებატონე—კაპიტალისტის და მეფის წინააღმდეგ.

მღვდლები იღებდენ ხელში ოქროთი მოვარაყებულ სახარებას—თვით ღვთის განგებით დაწერილს—და უკითხავდენ გლეხებს შემდეგ დარიგებებს: თუ ვინმემ გაგარტყას არჯვენა ლოყაზე უჩვენე მას მარცხენაც... არა არს მთავრობა თუ არ ღვთისაგან,—ყოველი მთავრობა ღვთისაგან არს მოვლენილი—ნუ ეწინააღმდეგები მთავრობას,—ვინც მთავრობას ეწინააღმდეგება იგი ჩემი წინააღმდეგიცაა. აი რით ასაზრდოებდენ სასულიერო პირნი გლეხების გონებას! ისინი იცავდენ თვითმპყრობელურ მთავრობას ისე, როგორც ჯანდარმები. როდესაც მამობრივი დარიგება არ სჭრიდა და შიმშილისაგან გაავთრებული მუშები აწყობდენ გაფიცვა-შეთქმულებებს მთავრობის წინააღმდეგ,—მღვდლები სისხლით აქრობდენ ასეთებს. ასე მაგალითად რუსეთში ტომის ეპარქიის ეპისკოპოზ მაკარიმ 1905 წ. შეადგინა შავი რაზმი, რომლის საშვალებით მან გადაბუგა ქალაქის თეატრი, სადაც იმ დროს იყო მუშების და მუშათა ინტელიგენციის კრება. ასეთ საგმირო საქმისათვის რუსეთის მთავრობამ ეპისკოპოზ მაკარის მიტროპოლიტობა უბოძა ამგვარი მაგალითი უამრავია. ასეთ საქმეებს სჩადიოდენ „წმინდა მამები". მეფეებს, მემამულეებს და კაპიტალისტებს სწორედ იმიტომ სჭირიათ ეკლესია და სამღვდელოება, რომ ამათი საშვალებით დააბნელონ ხალხის გონება; ამყოფონ ისინი ეშმაკის, ჯოჯოხეთის და ღვთის შიშის ქვეშ და ამით ყვლიფონ მათი ნამუშევარი.

3. რად იცავდა სამღვდელობა ისე თავდადებით თვითმპყრობელურ მთავრობის ინტერესებს? სწორედ იმიტომ ეს მთავრობა ბლომად უჩხრიალებდა სამღვდელობას ოქროს ფულებს, რომლებზედაც მღვდლები ყიდდენ მუშათა კლასს. ამას გარდა იმავე მთავრობის საშვალებით ეკლესია-მონასტრებს ქონდათ უამრავი მიწები და ყავდათ ყმები რომელთა რიცხვი რუსეთში უდრიდა 859,602 სულს; ხოლო საეკლესიო-სამონასტრო მიწების რაოდენობა კი რუსეთის 50 გუბერნიებში შეადგენდა 2,611, 695 დესეტინას. ამათ გარდა აუარებელი სასტუმროები და სახლები ეკუთვნოდათ სასულიერო პირთ პეტროგადში, მოსკოვში და სხვა ქალაქებში. ეს ცოტაა.—1917 წელს მეფის მთავრობამ „უწმიდეს სინოდს" დაუნიშნა 67 მილიონი „პოსობიის" სახით. მოსკოვის მიტროპოლიტი ღებულობდა ხაზინიდან წელიწადში 6,000 მანეთს, ამას გარდა 4.000 მან. ე წ. „სასადილოს" (იმავე ხაზინიდან), შემდეგ არქიერეის სახლებიდან 8,000 მან. ჩუდოვის მონასტრიდან 6.000 მან. „ტროიცე-სერგუევის" ლავრიდან 12,000 მან. ივერიის სალოცავიდან—45,000 მან. სულ წელიწადში—81,000 მან. პეტერბურგის მიტროპოლიტი ღებულობდა 259,000 მან. ნოვგოროდის მიტროპოლიტი კი ამ მხრივ ორივეს სჯობდა: იგი იღებდა 307,000 მან. ახლა თუ საერთოდ შემოსავალს ჯამაგირიანად გადვიტანთ ფულად დღიურ ღირებულობაზე,—მივიღებთ, რომ მოსკოვის მიტროპოლიტი დღეში ღებულობდა 222 მანეთს, პეტერბურგის 810 მანეთს, ნოვგოროდის **842** მანეთს, და ეს მაშინ, როდესაც ქარხნის მუშა იღებდა დღეში 4 აბაზ-ნახევარს. რუსეთში ითვლებოდა სულ 88,628 ეკლესია, სინაგოგა და მეჩეთი. მარტო ქრისტიანების მღვდელთა რიცხვი უდრიდა 165,614 კაცს. რა იყო ეს, თუ არა ნიკოლოზის მეორე არმია გლეხების და მუშების აჯანყების ჩასაქრობად და მათი დასამონებლად!?

4. ამ რიგად „წმინდა მამები" იყვნენ ხორციელ დ სულიერ განცხრომაში. ეკლესია—მონასტრები წარმოადგენდენ გარყვნილების ადგილს. მონასტრის სარდაფი მუდამ სავსე იყო ღვინით, რომლით გალოშილი იყვნენ „ჩვენი წმინდანები" წირვის შესრულების დროსაც კი.

ყველასათვის ცხადია, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ძალით მამაკაცს ცოდვად ეთვლება სხვის ქალზე პირდაპირ თვალებში ჩახედვა; ხოლო გულში „რაიმეს'' გავლა ან გაარშიყებაზე რომ საუკუნო ჯოჯოხეთი მოელის კაცს! როგორ იცავდენ თვით ეს „წმიდანები'' ამ დოგმატებს? მონასტრებში ისეთ გარყვნილებას ქონდა ადგილი, რომ დღევანდელ „განათლებულ'' ევროპის ბურჟუაზიის გარყვნილება ამასთან მონაგონია. ამის შემდეგ ისინი გამოდიოდენ ხალხის წინაშე „წმიდანებად'' დ „უცოდველებად'' და შუამავლობდენ ღვთის წინაშე ამა ქვეყნის „ცოდვილთათვის'' შეცოდებათა მისატევებლად. ეს არ კმარა: დასავლეთ ევროპაში „წმიდა მამებმა'' თვით ამ ქვეყნად იწყეს ცოდვების მიტევება. რომის პაპა იოანე მე-XII-მ ამაზე დააწესა განსაკუთრებული ტაქსა; ყიდდენ განსაკუთრებით დაწერილ ფურც-

პროფ-მოძრაობის პირველ ჩანასახიდან

(მუშების საყურადღებოდ)

ადამიანის შრომის ღირებულება, როგორც ყოველივე სხვა საქონლისა, გამოხატება მის ფასებში, ე. ი. ფულის იმ რაოდენობაში, რომელიც მის სამუშაო ძალაშია მიცემული, ასე სისწორით, განმარტა ადამიანის შრომის მდგომარეობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ინგლისის ერთმა ეკონომისტთაგანმა და გამოჩენილმა ფილოსოფოსმა თომა გობბსმა.

ეს სამუშაო ძალა თავისუფალია, როგორც ყველა სხვა საქონლის პატრონს აქვს ნება თავის საქონელი ისეთი ადგილას და ისეთ დროს გაასაღოს, როცა ხელსაყრელი ფასების აღება შეუძლია, ნება ქონდა ფასების ასაწევად ესარგებლნა ყოველგვარი საშვალებით, რომელიც კი სისხლის სიმართლის კანონით არ იყო აკრძალული; ისე სამუშაო ძალის პატრონიც თავისუფალი უნდა ყოფილიყო და ისეთი უფლებით უნდა ესარგებლა, როგორც სამუშაო ძალის მყიდველს, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშას შორის ნორმალური მდგომარეობა ირღვეოდა მუშათა კლასის საზარალოდ, ხოლო სამუშაო ძალა კარგავდა ჩვეულებრივი საქონლის ხასიათს და სახელმწიფოს მიერ შევიწროვებული საქონლად ხდებოდა. მაგრამ ეს ახლად ფეხმოკიდებული კაპიტალისტური წესწყობილებამ სავსებით ვერ განახორციელა სანამ მუშა ხელი მცირე იყო, სანამ სამუშაო ბაზარი ნელ ნელა ივსებოდა უმთავრესად საკუთრების დაკარგვის მიზეზით სოფლიდან გამოქცეული გლეხებით.

მთავრობაც კაპიტალისტების სასარგებლოდ მუშაობდა, ასე მაგალითად ის უკრძალავდა მცხოვრებლებს სხვა ქვეყანაში გადასახლებას და ყოველ გვარ დახმარებას უწევდა სხვა სახელმწიფოებიდან გადმოხიზნულ უცხოელებს ყოველგვარ ჯილდოების დანიშვნით გადასახადების შემცირების, დაპირებით ხელს უწყობდა ქორწინების გახშირებას და როგორც კანონიერ ისე უკანონო ბავშების გამრავლებსაც, ასეთი ღონისძიებებით მთავრობას უნდოდა გაემრავლებია სამუშაოს მაძიებელთა რიცხვი. მაშინდელ ტერორისტურ კანონებს მიზნად ის ქონდა, რომ მონობის უღელში ძალად შეებათ გლეხობა, რომელსაც მთავრობამ ხელოვნურად საკუთრება ჩამოართვა და უსახლკარო მაწანწალებად აქცია. მაგრამ რადგანაც ამ საფუძველზე აღმოცენებულ ექსპლოატაცია სავსებით ვერ აკმაყოფილებდა ახლად აღორძინებულ კაპიტალიზმის უსაზღვრო მადას, გამოიცა ახალი კანონები, რომელთა საშუალებით ხელოვნურად გაადიდეს სამუშაო დღე, შეამცირეს დღიური შრომის ხელფასი და მუშის თავისუფლება კიდევ უფრო შეავიწროეს.

(გაგრძელება იქნება)

ა. ოჩ.

ზედმეტი ღირებულება—კაპიტალისტთა მიერ მუშების ექსპლოატაციის წყაროა. ზედმეტი ღირებულების მითვისებამ გაამდიდრა კაპიტალისტთა კლასი;—ამით გაიყვლიფა მუშათა კლასი.

ჭლექიან ევროპას

ჯანსაღი მუშა ჩაქუჩ—ნამგალით
წითელ ვარსკვლავით კი—არმიელი
ფხიზლად დამდგარან სადარაჯოზე,
მტკიცე კავშირით მტერთ გულის მკვლელი!

გუშაგთ მოესმათ „რაღაც ხმაური“
დასავლეთ მხრიდან, მზის ჩასვლის ჟამსა!...
ფრთხილად, გულ დასმით, გადიქცენ სმენად
და ჰორიზონტსა აპყრობენ თვალსა!...

ხმაც მოახლოვდა საზიზღარ მტერის,
გაჩნდენ ევროპის—შავი ლაქები,
აღელდა მუშა და არმიელი,
დასჭიმეს ბრძოლის ნდომით ძარღვები.

გაღელილ მკერდზედ მოისვენ ხელი,
დააბრიალენ მრისხანედ თვალი,
მუშამ თანახმად მოვალეობის,
წელზედ იკიდა თვისი ნამგალი!..

აიღო ხელში—წითელი დროშა,
დროშა—წითელი ლოზუნგებითა
შესძახა მტრებსა: ,,ვერ შეგვაშინებთ“
„თითქმის მრისხანე“ თქვენი ხმებითა.

თქვენ ავათმყოფნო! სულით ღატაკნო!
ვერ შესძლებთ ჩვენთან მრისხანე ბრძოლას!..
რადგანც გვქირთ უკვე წითელი ჭლექი
მისგან განიცდით რყევას და თრთოლას.

ჩვენთ ან ბრძოლით თქვენ რაღას წაიღებთ,
თუ არ გადამდებ წითელ ბაცილებს?!.
რომლის ლახვარი, უკურნებელი
შავ სამარემდის თქვენ გაგაცილებსთ.

თქვენს მეცნიერებს და ექიმბაშებს
ცოდნა ვერ შესწევთ განკურნებისთვის,
თუმც ცდებს ახდენენ თბილ ოთახებში,
მაგრამ შედეგი—ამაოდ თქვენთვის.

სანამ მის წამალს გამოიგონებთ
და მიმოირჩენთ სხეულს სნეულსა,
მანამდი თქვენი მსუქანი ლეში
ქვეშ ამოყვება ტახტს დამსხვრეულსა.

და ეს ბაცილა, ჩაქუჩით, ცელით,
სულთა-მხუთავად ზე დაგადგებათ
გაგსრესთ, გაგთელავსთ დაგლეწსთ, დაგამსხვრევსთ,
და სანეტარო ჟამიც დადგება“.

და მეც ხმამაღლა მას გავკიჟინებ
ბანს მაძლევს ,,ქვეყნის ბარნი-მთანია‘‘,
ჩვენ აწ ევროპა ვერას დაგვაკლებს,
რადგანც ის წითელ ჭლექიანია.

გაუმაძღარნო! ხომ ხედავთ გაქრა
აწ ჯანსაღობის თქვენი სეზონი,
და ვერ განკურნავს თქვენს სნეულ, მსხვილ-ტანს
ვერც პუანკარე, ვერცა კერზონი.

ჰა! გარიჟრაჟდა და ცაც შეწითლდა,
ჰორიზონტზე ქრის პოეტის ნავიც
ცის კაბადონზე—ფრიალებს დროშა,
დასავლეთისკენ მიქრის ვარსკვლავიც!..

ვალიკო კოტიანეთელი.

მუშას

აჰა! იქუხა მუშისა ხმამ!
და დაანგრია ქვეყანა ძველი,
ამ ნანგრევებში ცოცხლათ ჩამარხა
ყველა - ვინც იყო ძველ ქვეყნის მცველი.

ხოლო ნანგრევზედ დღეს მედგრადა დგას
გამარჯვებული მუშა ძლიერი,
ის დაჩაგრული და ნაწამები,
თვის მოძმის მონა მრავალ—ხნიერი.

მან აღამაღლა წითელი დროშა
და ამაყად იქნევს ჩაქუჩსა—
და მოუწოდებს მასთან დარაზმვას
ძმა ამხანაგსა, ყველა ჩაგრულსა.

მას ვეღარ დაძლევს დღეს ვერავინა,
ის უუფლებო აწ აღარ არი;
წინ წასულია და კიდევ მიდის,—
მისთვის ღიაა დღეს ყველგან კარი.

მოწ. **ირაკლი კვერკველია.**

ლებს (ინდულგენცია), რომლის საშვალებით, ვინც ამ ფურცელს იყიდიდა, მიეტევებოდა კაცს ცოდვა. ეს იყო გარყვნილების უმწვერვალეს წერტილამდე მიღწევა.

ე. წ. „უხრწნელი ნეშტები“, რომელთაც სალხი საუკუნოების განმავლობაში თაყვანსა სცემდა, წარმოადგენდენ მხოლოდ ხალხის სატყუებელ ნივთებს. უხრწნელი ნეშტები“ გახსნილ იქნენ, როგორც რუსეთსა და საქართველოში, ისე დასავლეთ ევროპის ბევრ ქალაქებში; გახსნამ ყველაფერი გამოაშკარავა. აღმოჩნდა რომ ერთი და იგივე „წმინდანს“ რამდენიმე ხელი და ფეხი ქონია (რიცხვიც არ არის თანასწორი); ერთი და იგივე „წმინდანი‘‘ ბევრ ადგილას აღმოჩნდა(!)... ეს ყველაფერი იმისთვის იყო გამოგონილი, რომ ამით სამუდამოდ მოეწამლათ და დაეჩლუნგებიათ ხალხი. ამ რიგად კ. მარქსის სიტყვით: ,,რელიგია ოპიუმია, რომელიც ათრობს და აძინებს ხალხს‘‘.

5. ღვთისადმი რწმენის წარმოშობა უძველეს დროს ეკუთვნის.

პირველყოფილ ადამიანებს უხდებოდათ ომი მეზობელ თემებთან. პირველყოფილი ველური ადამიანი აცქერდებოდა მის მიერ მოკლულ (ჯოხით ან ქვით) მტერს და ებადებოდა კითხვა: რად მიატოვა მის მიერ მოკლულმა მოძრაობა?! შემდეგ ის ამჩნევდა, რომ მის მიერ მოკლული უკვე არ სუნთქავს: ორთქლი ან ჰაერი არ გამოდის მის პირიდან. აქედან პირველყოფილი ველური აკეთებს ასეთ დასკვნას: ყოველი ადამიანი ცოცხლობს და მოძრაობს მანამდის, სანამ მისგან არ გაფრენილა „სუნთქვა“, ან „სული“. არის „სული‘‘—ადამიანი ცოცხალია; გაფრინდა „სული“—ადამიანი კვდება. ახლა პირველყოფილ ადამიანს ებადება კითხვა: სად წავიდა, სად გაფრინდა ეს „სული“. ამას იგი ხსნის მეორე მოვლენით—„ძილით“. ძილში იგი ხედავს მის მიერ მოკლულ მტერს, რომელიც შესაძლებელია კიდევაც ეჩხუბება მას. იღვიძებს, მაგრამ გარშემო არავინაა. ასეთი ძილი ხშირად მეორდება. ებადება კითხვა, რის შემდეგ აკეთებს ასეთ დასკვნას: ალბად მასთან დადის მის მიერ მოკლული მტრის სული, ის უხილავი „სული“, რომელიც გაფრინდა მკვდარ სხეულისაგან. აქედან დაასკვნის: ყოველი ადამიანი მხოლოდ სულის მეოხებით ცხოვრობს. სიკვდილის შემდეგ (რომელსაც იწვევს სულის მოშორება სხეულისაგან (!)) სული უჩინრად განაგრძნობს ახლოს ცხოვრებას. შემდეგ დარწმუნდენ, რომ სულებს სჭირიათ სმა, ჭამა; ამან წარმოშვა ჩვეულება მსხვერპლად შეწირვისა.

სულისადმი რწმენის წარმოშობის შემდეგ გვიან, წარმოიშვა რწმენა ღვთისადმი. მიწის დამუშავების შემოღებამ და ომებმა გამოყვეს თემის (ან ჯგუფის) ორგანიზატორები და საომარ საქმეთა წინამძღოლნი. დროთა სვლის შემდეგ ეს პირნი თავიანთი ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობით ბევრად მაღლა დადგენ თემის დანარჩენ წევრებზე. გაჩნდა უფროს-უნცროსობა. ომიანობის დროს ტყვედ წამოყვანილებს მონებად აქცევდენ. გაჩნდენ ბატონები და მონები. ამ ქვეყნად ძლიერ მეფის და პატრიარქის სულს სიკვდილის შემდეგაც ძლიერად და ყველა სულებზე მაღლა მდგომად რაცხდენ. მეფის ან პატრიარქის „სულს“ რაღაც „დიდ-ძალად‘‘ ქმნიდენ. ეს ,,დიდ-ძალა‘‘ შეიქნა—ღმერთი. ასე გააჩინა ადამიანმა ღმერთი. ღმერთების რიცხვი პირველად ბევრი იყო, ვინაიდან ბევრი იყო პატრიარქთა და მეფეთა რიცხვი. მეფეებს ყავდათ ამ ქვეყნად ვეზირები, მინისტრები და სხვა უმდაბლეს საფეხურზე მდგომი თანამშრომელნი. იმ ქვეყნადაც ღმერთებთან გაჩნდენ მთავარ-ანგელოზები, სერაფიმები, ქერაფიმები და სხვა „წმინდანები‘‘. მეფეები ამ ქვეყნად ეომებოდენ ერთმანეთს, იმ ქვეყანაშიაც ღმერთები სულ ეჩხუბებიან ერთმანეთს. ამ რიგად, ზეციერი სამყარო ანარეკლია მიწიერ სამყაროსი.

6. ებრაელების ქვეყანაში—ურიასტანში—ღარიბების მდგომარეობა მეტად გამწვავებული იყო. ისინი იჩაგრებოდენ ერთის მხრით მდიდართაგან, ხოლო მეორეს მხრით რომის იმპერატორის დესპოტიზმისაგან. ამ დროს იშვა „იესო ნაზარეველი‘‘—კაცი ნიჭები და გამოჩენილი. ისტორიას არა აქვს ნამდვილი საბუთები ცხოვრობდა თუ არა ნაადვილად ქრისტე, რასაკვირველია, როგორც ხორციელი ადამიანი. ყოველ-შემთხვევაში ასეთი კაცი მაშინ უნდა გამოჩენილიყო, რომ დაემშვიდებია უნუგეშო ღარიბ-ღატაკნი. და აი ნაზარეველიც მოუწოდებს დაჩაგრულებს: ,,მაშვრალნო და ტვირთ-მძიმენო! მოდით ჩემთან და მე დაგამშვიდებთ თქვენ. ქრისტე მიდიოდა თავადების და დიდ-კაცების წინააღმდეგ (მაგ. რომის იმპერატორის), მაგრამ მეფეობას საერთოდ არ უარყოფდა და თავისთავს უწოდებდა—,,იესო ნაზარეველს—მეფეს ურიასტანისას“. ის კიდევაც აწამეს. თვით ქრისტეს ქადაგებაში იყო დიდი წინააღმდეგობა. ყოველ შემთხვევაში ღარიბების განთავისუფლება იმ გზით რა გზითაც ამას ქრისტე ქადაგებდა ყოვლად მოუხერხებელი და შეუძლებელი იყო (ქრისტე უარყოფდა კლასთა ბრძოლას).

ქრისტეს შემდეგ მთავრობამ და მდიდართა კლასმა საუკეთესო იარაღად გამოიყენეს ქრისტეს მცნებები ღარიბების დასაჩაგრავად და სრულ მონობაში სამყოფებლად.

ქრისტეს „აღსდგომა“ სინამდვილე არ არის. ესაა მითი (ძველი გადმოცემა); აზრი „მკვდრეთით აღდგომაზე“ სხვათა შორის, ველურებშიც არსებობდა (მაგ. ველრებ წაქცეულ ადამიანის მოსულიერებას „აღდგომას“ ეძახდენ;—ასეთი აზრი და შეხედულება შემდეგში ურიასტანშიც გადმოვიდა). ამიტომაც იყო, რომ ქრისტ. მისსიონერების ქადაგებას ველურებს შორის „ქრისტეს აღდგომის„ შესახებ არავითარი გავლენა ველურებზე არ მოუხდენია.

7. საუკუნოებით აბნელებდენ ხალხის გონებას სასულიერო პირნი. რელიგია იყო ნამდვილი ოპიუმი, რომელითაც ათრობდენ და აძინებდენ ხალხს. ეკლესია—ეს ხალხის გონების დაჩლუნგების ადგილი იყო. თვითმპრობელურმა მთავრობამ ყოველ კუთხეში ააგო ეკლესია, რომ არსად აჯანყებულიყო ხალხი და ეკლესიების საშვალებით სამღვდელოებას დაეხშო ხალხის გონება.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთში მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ სამღვდელოებას მოუსპო შემოსავლის წყარო და გამოაშკარავა მათი ყოველგვარი სისაძაგლენი. ამის შემდეგ თვით ხალხი წავიდა ეკლესიის წინააღმდეგ.

ჩვენში, საქართველოში, ჯერ კიდევ 1905 წელს დაიწყეს გლეხებმა ეკლესიების მიხურვა. გლეხები აშკარად გამოდიოდენ სათემო და სასოფლო კრებებზე მღვდლის და ეკლესიის წინააღმდეგ. 1923 წელს მოთმინების ფიალა გაივსო და გლეხებმა მოახდინეს რევოლიუციონური შეტევა სამღვდელოების, ეკლესიის და ღვთის წინააღმდეგ. საქართველოს მაზრების უმრავლეს ნაწილში მიხურულ იქნენ ეკლესიები. სხვათა შორის სენაკის მაზრის გლეხებმა ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო რევოლიუციონერობა გამოიჩინეს: თებერვლის თვის დამლევს 15-20 დღის განმავლობაში მთელ მაზრაში მიხურულ იქნენ ყველა ეკლესიები, რომელთა რიცხვი აღწევდა 165 მდე და გადაკეთებული კულტურის კერებად: სასოფლო კლუბებად, თეატრებად, სკოლებად და ქოხ-სამკითხველოებად.

ძირს მონობის ბუდე—მღვდელი და ეკლესია!

ძირს რელიგია!

ძირს ცრუმორწმუნოება—რწმენა ღვთისა და ეშმაკისადმი.!

გაუმარჯოს განათლება-კულტურას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციის მედგარ შტაბს. მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

სენაკის მაზრის პოლიტგანათლების მმართველობა.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პუანკარეს გადადგომა

ლონდონი. 25 მაისი. პუანკარე გადადგა. ჯერ-ჯერობით, სენატის სხდომის გმოწვევამდი, მისი გადადგომა არ არის მიღებული. გადადგომა გამოწვეულია იმით, რომ უმაღლესმა სასამართლომ უარი განაცხადა კაშენის და სხვა კომუნისტების გასამართლებაზე, რადგან სასამართლოს განცხადებით ეს მის კომპეტენციაში არ შედის. აღნიშნული კომუნისტები პასუხისგებაში არიან მიცემული რურში მგზავრობის დროს საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ სიტყვების წარმოთქმისათვის.

სოფლად

ხორშის თემი (სენაკის მაზრა)

მიწის ჩამორთმევა და განაწილება კარგად ტარდება, რაც თითქმის დამთავრებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ჩამორთმეულია მემამულეებზე 2082 ქცევა მიწა სახნავ-სათესი და ტყე, რომლებიც დაურიგდათ უმიწაწყლო გლეხობას. სახლი ჩამოერთვა ყოფ. თავადებს: მიხა ჩიჩუას და ჯუგუ დადიანს. ჩიჩუას სახლი გადაეცა ადგილობრივ საავადმყოფოს და დადიანის კი სამეურნეო სკოლას აგრეთვე კოკი დადიანს ჩამოერთვა ორი თვალი წისქვილი გაშენებული მდინარე ხობის წყალზე და გადაეცა ადგილობრივი აღმასკომს. აღმასკომი მაშინათე შეუდგა წისქვილის შეკეთებას და განძრახული აქვს მესამე თვალიც ჩაუმატოს. დღეს უკვე დარწმუნებულია აქ მშრომელი გლეხობა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის მუშების და გლეხების ინტერესების გამომხატველი.

ალექსი ბუკია.

სოფ. გეჯეთი

ხიდის გაშენება მდინარე ტეხურზე.

მდინარე ტეხური მეტად უბრკოლებდა გეჯეთელ გლეხებს რაიონთან და მაზრასთან ნორმალურ დამოკიდებულების დაჭერას. ეს ყოველივე საბჭომ მიიღო მხედველობაში და 1922 წ. თავის ერთ ერთ სხდომაზე დაადგინა მდ. ტეხურზე გააშენოს ხიდი, მასთან დახმარება სთხოვა სამაზრო აღმასკომს, სამაღმასკომმაც თავისი მხრით დახმარებას დაგვპირდა, და კიდევაც ხიდისთვის მასალები ძალიანი დაკლებულ ფასებში დაგვითმო, ზოგი უსასყიდლოთაც. გლეხებმაც დიდი ენერგია გამოიჩინეს მუშაობით ამ საქმეში. მათი მეოხებით მუშაობა უკვე მოთავებულათ უნდა ჩაითვალოს ეს კიდევ ერთ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს. აღმშენებლობის ფრონტზე.

გეჯეთელი.

სოფ. წყემი

წყემის ადგილ-მდებარეობა ძალიან მწირი და უნაყოფოა, მაგრამ მიუხედავად ამისა წყემელი გლეხ-კაცობა მაინც მისდევს მეურნეობას, თუმცა მეურნეობის გაფართოებას ნაკლები სივრცე აქვს, რადგან ამასთან ახლავს ორი დამაბრკოლებელი მიზეზი: ერთი-თვით წყემი იყო ერთი, მიგდებული კუთხე ნიკოლოზის დროს, აქ არ არსებობდა არავითარი კულტურული დაწესებულება, როგორც არის: სკოლა, სამკითხველო, კლუბი და ასეთები; მხოლოდ იყო ერთად ერთი ეკლესია. გლეხ-კაცობის საკეთილდღეოდ ლაპარაკი ზედმეტი იყო. მეორედ ის, რომ თვით ადგილ მდებარეობა არ უწყობს ხელს მეურნეობის ფართედ გავრცელებას. ავიღოთ დაფნა; დაფნის მოშენება დაიწყეს ნამეტან გვიან მხოლოდ 1910 წელს მაგრამ მას თავს დაატყდა მალე დიდი უბედურება,-ეს 1914 წლის ომიანობა და ძირშივე ჩაჰკლა სეზონის დაკარგვამ.

მასთან ერთად მოაშენეს და აშენებენ მანდალინა, თხილს და ვენახს, მაგრამ ვენახი არ იძლევა შრომის მეათედ პროცენტს, რადგან დედა-მიწა მისთვის გამოუსადეგარია. მხოლოდღა დაგვრჩენია ერთად ერთი სიმინდი. სიმინდი არის ჩვენი ერთად ერთი იმედი. მის მოსაყვანად დიდი და პატარა, ქალი და კაცი ხელებ გადაკაპიწებულ თავქედ ჩაღუნული ებრძვის დედა-მიწას. გაუმჯობესებულ სამეურნეო იარაღების უქონლობით გადაჭარბებული შრომის წარმოება უთხრება სოფლელებს. ამასთან წარსული წლის ნამუშევრის სიეფემ ბევრს ცოტათი გული გაუტეხა.

მაგრამ გამოსავალიც არის: აქა-იქ შემოდის ახალი იარაღი, რომლის საშვალებით დიდი შეღავათი ეძლევა ყველას.

რაც შეეხება სიმინდის სიაფეს,-ამ ბოლო დროს გაზ. „კომუნა-“ს საშვალებით (ამხ. სამსონ მამულიას წერილი გლეხებთან) დარწმუნდა ჩვენი გლეხობა, თუ რა იყო და რა არის ამის მიზეზი.

ჩვენ გული არ გვაქვს გატეხილი და მივდივართ წინ!

გაუმარჯოს შრომას!

თენ. ჯალაღონია.

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთ „კომუნა“-ს საშუალებით დამიდასტუროთ, რომ ოცი ამა მაისის ნომერში მოთავსებული განცხადება სამსონ ივანეს-ძე ნაჭყებიას სახელზე მე არ მეკუთენის. (მისი ავტორი სალხინოელია).

პატივისცემით **სამსონ ივანეს ძე ნაჭყებია.**

ქ. ახალ-სენაკი 25 მაისი 1923 წ.

კულტურული მუშაობა ახ.-სენაკის რკ. გზ. სადგურზე.

ახ-სენაკის რკინის გზის სადგურის ჩანასახის პ. მგ. მდივანი ამხ. ერ. შუშანია დიდ ენერგიას ხარჯავს რკ გზის სადგურზე კულტურულ მუშაობის საწარმოებლად. მისი მუშაობით მოეწყო თეატრი და კლუბი სამკითხველოთი. აქ მუშაობა ცოცხლად მიმდინარეობს. კომუნისტური ჩანასახის ავტორიტეტი ამ შემთხვევაში უპარტიოთა შორის დიდია. კლუბში ხშირად ეწყობა რკინის გზელთა (განსაკუთრებით მუშების) კრება. ამ ორი წლის წინ აქ არ-იყო არავითარი ნატამალი კულტურული მუშაობის.

შეიძლება დაბრკოლება და ცოტათი ნაკლი ქონდეს მუშაობას, მაგრამ ყველაფერი ეს გასწორდება. ყოველ შემთხვევაში ენერგიული ცდა ამტკიცებს, თუ ვინ რომელი ორგანო ზრუნავს ნამდვილგანათლება-კულტურაზე.

ელი—ქვალონელი.

ქრონიკა.

პედაგოგიური მუზეუმი.

განათლების განყოფილების დარბაზში ამავე განყოფილების ხელმძღვანელობით 22 აპრილს გაიხსნა პედაგოგიური მუზეუმი. ბევრმა სკოლამ უკვე გამოგზავნა მუზეუმისათვის ექსპონატები. მუზეუმი ღიაა ყოველ—საქმე დღე დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი.

ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ლატარიის მომწყობი ქვე კომისია სენაკის მაზრისა სთხოვს ყველა იმ დაწესებულებებს, რომელთაც ქონდათ მიღებული ლოტარიის ბილეთები გასავრცელებლათ საჩქაროთ წარმოადგინონ გაყიდულ ბილეთების ფული შემდეგ მისამართით: სენაკის სამაღმასკომი, ქვე-კომისიის მდივანს.

თეატრი და ცხოვრება

17 მაისს ქ. ახალ სენაკში პროლეტარულ დრამატიულ დასის მიერ იქნა დადგმული პიესა ,,დამნაშავე''?—დრამა 3 მოქ. რომლის ხელოვნურად შესრულებამ მოლოდინს გადააჭარბა. უნდა ითქვას სიმართლე, რომ პროლ. დასმა თავის მუშაობის მოკლე დროის განმავლობაში გამოიჩინა დიდი ენერგია.

ასე რომ სრული იმედია—დასი დაწყებულ საქმეს უფრო ენერგიულად ჩაკიდებს ხელს და დაამშვენებს დასახულ იდეას.

პიესის მომზადებაში და მის დადგმაში იტყობოდა, რომ რეჟისორ მ. სარაულს არ დაუშურავს თავის ძალღონე. კარგი იყვნენ ნ. ჩაგუნავა, ო. ჩაგუნავა. ნ. ბაკურაძე ი. კაზირია, მშვენიერად მოუმზადებიათ და შეუთვისებიათ თავიანთი როლები სცენის მოყვარეებს გ. კვახაძეს, კ. პიპინაძეს და ძ. კოლოშვილს.

ვუსურვებ დასს განმტკიცებას და უფრო მეტი-ენერგიულ მუშაობას. გამარჯობა თქვენი, სენაკის პრ. დასის მუშაკნო!

ადგე.

რედაქციისაგან.

რედაქცია მადლობას უცხადებს კიწიის თემის შემდეგ ამხანაგებს: 1. ბიქტორი ცავა, 2. კაპიტონ ხარბედია, 3. პარმენი კორთხონჯია, 4. გიორგი ჩაჩიბაია, 5. ვასილი კაკულია და 6. ილიკო ხარებავა, რომელთაც შემოიტანეს გაზ. „კომუნა“-ს სასარგებლოდ 650,000 მან.

განცხადებანი

ამხ. რედაქტორო თქვენს გაზეთში მოათავსეთ შემდეგი:

1921 წლამდე თანაუგრძნობდი ს. ს. დ. პარტიას (მენშევიკებისა). მაგრამ, საბჭოთა ძალა-უფლების დამყარების შემდეგ საქართველოში, თანდა თანობით დაკვირვებამ ნათლად დამარწმუნა, რომ ერთად ერთი დამცველი მშრომელთა ინტერესებისა არის მხოლოდ კომუნისტური პარტია, რომელსაც შეუძლია იხსნას კაცობრიობა კაპიტალის გაფართოებული ექსპლოატაციისაგან.

შეიძლება კიდევ ვისმეს იჭვი ეპარებოდეს ჩემზე, რის გამოც მათ საყურადღებოდ და ყველას გასაგონად გულ-ახდილად ვაცხადებ, რომ მე ვგმობ ჩემს 1921 წლამდე წარსულს, და მომავალში, როგორც მანამდე; ყოველივე ჩემს ენერგიას მოვახმარ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეებს.

ერმილე ივანეს-ძე გვილავა.

P. S. ასეთი წერილი გავუგზავნე გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას, მაგრამ აგერ ერთი თვე გადის და რაღაც მიზეზისა გამო დაავგიანდა გამოცხადება.

ე. გ.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ გაზეთის საშვალებით განაცხადოთ შემდეგი: მე ვმუშაობდი სოც. დემ. პარტიაში 1905 წლიდან ვიდრე 1921 წლამდე. დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე ამ პარტიასთან.

ამ ორმა წელიწადმა დამარწმუნა, რომ მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შესძლებია მუშებთან ერთად გლეხების განთავისუფლებაც.

უცხადებ თანაგრძნობას არსებულ ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას.

ანდრია მიხეილის-ძე გაბუნია.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქენი გაზეთის საშუალებით განაცხადოთ შემდეგი: მე ვიყავი წევრად მარქსისტთა ორგანიზაციის, რომელსაც დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა დავანებე თავი. მის შემდეგ განვლილმა დრომ დამარწმუნა, რომ ე. წ. მარქსისტთა ორგანიზაცია იყო თავის გზას ამცდარი, და მხოლოდ ახალგაზდა კომუნისტური კავშირი გამოდიოდა სინამდვილეში მუშების და გლეხების ინტერესების დამცველად. სრულიად შეგნებულად შევდივარ ამ ორგანიზაციაში მის რიგების გასამტკიცებლად.

აკაკი გაწერელია.

მე გამოვედი სოც. დემ. პარტიიდან და თავს ვრაცხ ყოველ პარტიის გარეშე. რამდენადაც ნებას მაძლევს ჩემი სულიერი განვითარება, იმდენათ ხელს ვუწყობ საბჭოთა აღმშენებლობას კულტურულ დარგში.

სტუდ. ვლადიმერ მანუჩარის-ძე კარტოზია.

ცირკულიარულად

სენაკის მაზრის ყველა თემთა და ქ. ცულევის აღმასკომებს.

საღერბო გადასახადისა და საკანცელარიო ბაჟის გადიდების შესახებ.

თანახმათ შინ. საქ. ს. ხ. კომისარიატის ცირკულიარულ მოწერილობისა ა./წ. 11 მაისის თარიღით № 11,125 და დამატებით ჩვენი ცირკულიარისა 21 აპრ. № 1129 გაცნობებთ, რომ ყოველი შემოსული თხოვნა იბეგრება 100,000 მან. და ყოველი თქვენ მიერ გაცემულ მოწმობაზედ, რომელიც ეხება მოქალაქობრივ მდგომარეობას, გადახთება მთხოვნელს ასი ათასი (100,000) და სამოცდა თუთხმეტი ათასი თუ (75,000) მან. საკანცელარიო ბაჟი.

გაცნობებთ რა ამას, გავალებთ დღიდან ამის მიღებისა, ყოველი განცხადება მოქალაქეობრივ მდგომარეობის საბუთების გაცემის შესახებ დაბეგროთ ორასი ათასი (200 000 მ.) საღერბო გადასახადი და სამოცდა თუთხმეტი ათასი (75,000) მან. საკანცელარიო ბაჟით.

თავმჯდომარის მოადგილე ა. ლომია.

საინსტრ. საინფ. ქ/განყ. გამგე ი. კოდუა.

ს. ს. ს. რ. სახალხო განყოფილების კომისარიატის განკარგულების თანახმად—მეცადინეობა ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლებში შეწყდება ა. წ. 9 ივნისიდან.

პასუხისმგებელი:—**სარედაქციო კოლეგია.**

სენაკის სამაზრო აღმასკომის კ. მარქსის სახელობის სტამბა.